## წყალზე, ჰაერში, ხმელეთზე







ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ საიდუმლოებათა შეცნობა ადამიანის სანუკვარი ოცნებაა, რომლის განხორციელება მას თვითდამკვიდრებაში ეხმარება. ადამიანი ჯერ ხმელეთის განუკითხავი მბრძანებელი იყო, მერე წყლის უსაზღვრო სივრცეებს გადაწვდა, ამის შემდეგ კი ცაში აიჭრა. ხმელეთი, წყალი და ჰაერი ადამიანის შესაძლებლობების უტყუარ საზომად იქცა.

ხმელეთზე მოტორები გუგუნებენ, წყალში ნავები სრიალებენ, ჰაერს კი მამაცი დელტაპლანერისტები სერავენ. ეს უკვე ხასიათების დაპირისპირებაა, წმინდა სპორტული შეჯიბრება, რომელმაც ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გახსნას.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 დეკემბერი, სამშაბათი. 1987 წ.
№ 285 (9646) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## მ. ს. გორბაჩოვი გაემგზავრა ვაშინგტონში

7 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონში გზად მიმავალი მ. ს. გორბაჩოვი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მიწვევით მოკლე დროით შეჩერდება დიდ ბრიტანეთში და სამუშაო შეხვედრა ექნება ქალბატონ მ. ტეტჩერთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანმხლებ ოფიციალურ პირთა შორის არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ს. ჩერნიაევი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინი.

(საქინფორმი).

### ელვა-ინფორმაცია

ლონდონი. 7 დეკემბერი. (საქინფორმი). თბილისელმა ანა როსტიაშვილმა გაიმარჯვა წყალში ხტომაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. კოშკიდან ხტომაში მან 410,55 ქულა მოაგროვა.

ვაჟთა შორის ამ პროგრამაში მესამე იყო სარატოველი სერგეი ეფრემოვი — 530,46. უძლიერესის სახელი კი ინგლისელმა რობერტ მორგანმა მოიპოვა.

სტოკჰოლმი. 7 დეკემბერი (საქინფორმი). აქ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. გამარჯვებულთა შორისაა თბილისელი გურამ გედეხაური.

ლისაბონი. 7 დეკემბერი. (საქინფორმი). ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატში პირად პირველობაში ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. მესამე ადგილზეა თბილისელი რუსუდან ხოფერია.

ბუშინ ტელეტაიპმა მოგვიტანა ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ 7 დეკემბერს დაამტკიცა ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია. ამ სიაში 7 კიევის „დინამოდანაა“, 6 — „სპარტაკიდან“, 5-5 — „ჟალგირისიდან“ და „დნეპრიდან“, 3-3 — „ტორპედოდან“ და მინსკის „დინამოდან“, 2 — მოსკოვის „დინამოდან“, თითო — „ქაირათიდან“ და „ნეფთჩიდან“.

სევილია, 7 დეკემბერი (საქინფორმი). ესპანეთის ამ ქალაქში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩის ოცდამეერთე პარტია. თეთრი ფიგურებით თამაშობდა ექს-ჩემპიონი. მეტოქეებმა გაითამაშეს გრიუნფელდის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი.



### წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## ოთხგზის ფალავანი

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მალხაზ ბერუაშვილი მეოთხედ გახდა საქართველოს ფალავანი — აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მისი გამარჯვება ამჯერადაც უდაო და დამაჯერებელი იყო. თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილმა ურიცხვმა მაყურებელმა ერთსულოვანი და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ღირსეულთა შორის ღირსეული. 1987 წლის აბსოლუტურ ჩემპიონს გადაეცა ტურნირის მთავარი პრიზი — სანდრო კანდელაკის სახელობის თასი.

ასპარეზობა თავიდანვე საინტერესოდ დაიწყო, თუმცა აქა-იქ უფერულ ბრძოლებსაც შევხვდებოდით. ტურნირის ორგანიზატორები სწორედ მოიქცნენ, როცა ფავორიტები სხვადასხვა წინასწარ ჯგუფში გაანაწილეს. ამით გამოირიცხა მოულოდნელობის ფაქტორი და ფავორიტებმა შედარებით უხიფათოდ გაიკვლიეს გზა გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ.

ბოლო ორი წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ჯემალ მჭედლიშვილმა ტურნირს ვერ ჩამოუსწრო. სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისში მაშინ ჩამო-

იხ. გვ. 2 გვ.

## რუდიკ კაზანჯიანი გამარჯვებულთა შორის

ლენინგრადი. მოკრივეთა IX ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა ადგილობრივი ტელევიზიის პრიზზე ტყავის ხელთათმანის ცნობილ ოსტატებს მოუყარა თავი, მაგრამ... 53 უცხოელი სპორტსმენიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მხოლოდ ერთმა, ბულგარელმა ს. ტოდოროვმა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან ა. ეპოვი (51 კგ) დაამარცხა და ერთ-ერთი პრიზი დაისაკუთრა.

წარმატებით იასპარეზა თბილისელმა რუდიკ კაზანჯიანმაც (48 კგ), რომელმაც ნახევარფინალში შოტლანდიელ უ. დოჰერტის აჯობა, ფინალში კი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს ს. იუნს მოუგო და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

პარალელურად მოეწყო შეჯიბრება სსრ კავშირის აბსოლუტურ პირველობაზე. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის თასის მფლობელი, ლენინგრადელი ვიაჩესლავ იაკოვლევი და დონეცკელი ვიქტორ ხკუნოვი. გაიმარჯვა იაკოვლევმა, რომელიც მესამედ გახდა აბსოლუტური ჩემპიონი.



ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ ზამთრის XV ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. სურათზე: 1988 წლის ოლიმპიადის მედალი (ცენტრში) და ჯილდოები, რომლებიც გადაეცემათ საჩვენებელ გამოსვლებში (მარცხნივ) და ინვალიდთა შეჯიბრებაში (მარჯვნივ) გამარჯვებულ სპორტსმენებს.

საქინფორმის ფოტო.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

თქვენი გაზეთის 8 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ზღვაზე სრული შტილია“ პასუხად გაცნობებთ, რომ თბილისის ზღვის იახტკლუბი სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ზღვაზე არადამაკმაყოფილებელი სპორტული მუშაობის გამო. ამის შესახებ ვიმსჯელეთ ქალაქის სპორტკომიტეტის გაფართოებულ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სპორტსახკომის წარმომადგენლები, წამყვანი სპეციალისტები, არქიტექტორები.

საქართველოს სპორტსახკომის საპროექტო კანტორამ ქალაქის სპორტკომიტეტს დაქვემდებარებული თბილისის ზღვის სპორტული ბაზისა და მოედნების სარეკონსტრუქციოდ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა (მშენებლობა 538.650 მანეთი დაჯდება).

საკითხი შესათანხმებლად დაისვა ქალაქის აღმასკომის წინაშე, რომელმაც იახტკლუბს გამოუყო ტერიტორია. თბილისის ზღვის კეთილმოწყობის სამმართველომ გეგმაში შეიტანა ბაზის რეკონსტრუქციისა და სპორტული მოედნების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა.

ლევან თედიაშვილი,
თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

### წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ხრისტინა ფალასინიდის (სინქრონული ცურვა, თბილისი, პროფკავშირები).



თბილისში „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში მიმდინარეობს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრს ეკა დოლიძეს ასპარეზობისას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ფიზკულტურა და სპორტი: ფასიანი მომსახურება, რა და როგორ?

# ახალი კოოპერატივი — „ჯანმრთელობა“

ამ კოოპერატივის მესვეურებმა, მისი ჩამოყალიბების თაოსნებმა, კარგად იცოდნენ, რომ რესტორანიც საჭიროა, სასადილოც და კაფე-ბარიც, მაგრამ მათს ნაკლებობას ისე არ განვიცდით, როგორც სპორტული ბაზებისას. ნორჩებსა და არა მარტო ნორჩებს, სპორტული დარბაზები, მოედნები, კორტები და აუზები სჭირდებათ. ფიზკულტურა და სპორტი ხომ ადამიანის ჯანმრთელობის, სილამაზის, სიმხნევის უპირველესი წყაროა. ამაზე დიდხანს ფიქრობდნენ და თავიანთ ოცნებას მალე ფრთები შეასხეს თბილისის ვარკეთილის მასივის 182-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ზიზი ჰილაშვილმა, 26 კომისრის რაიონის სპორტული სკოლის დირექტორმა ზონდო მირველაშვილმა და განათლების განყოფილების მუშაკმა ვლადიმერ რევიშვილმა...

მათ გადაწყვიტეს 182-ე საშუალო სკოლის საცურაო აუზზე, რომელიც 1985 წელს აშენდა, მაგრამ უმოქმედოდ იყო, კოოპერატივი გაეხსნათ.

— მშენებლებმა ეს აუზი უხარისხოდ ააგეს და ბევრი რამ დაუმთავრებელი დატოვეს, — გვიამბობს ზიზი ჰილაშვილი. — საჭირო იყო ბოილერისა და ქლორატორის გამოცვლა, სხვა სამუშაოების შესრულება, რაც კოოპერატივის წევრებმა მოვაგვარეთ. ბავშვებიცა და მათი მშობლებიც დიდი სიხარულით შეხვდნენ კოოპერატივის გახსნას. გარდა იმისა, რომ პატარები თავისუფალ დროს აზრიანად გამოიყენებენ, მშობლებსაც ექნებათ საშუალება, განსაზღვრულ საათებში საცურაო აუზს ეწვიონ. გვყავს მწვრთნელები, მასაჟისტები, ექიმი.

დიახ, ეს აუზი დიდსაც და პატარასაც სჭირდება ძალას, მხნეობას, სიჯანსაღეს, ლამაზ აღნაგობას... ყოველივე ამისთვის კოოპერატივის ხელმძღვანელებმა მოიწვიეს მწვრთნელები აზო არუთიუნოვი, ვლადიმერ ჭამბარიძე, აერობიკის მწვრთნელი გულიკო ჯაფაროვა, მასაჟისტი ნატო ქარქოვა.

აბონემენტის ფასიც ხელმისაწვდომია. სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის — თვეში 6 მანეთი, უფროსებისთვის — 9 მანეთი. მთელ რაიონში არ არის მსგავსი საცურაო აუზი, რომელიც შეუფერხებლად მუშაობდეს. ამიტომ ყველას გული აქეთ მოუწევს.

სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი თალიკო წიკლაური დაწყებითი კლასების მასწავლებელია. მან თითქმის ყველა მოსწავლე გააერთიანა ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში.

კოოპერატივს დიდ დახმარებას უწევენ განათლების განყოფილების გამგე თამაზ ნაცვლიშვილი, სახალხო დეპუტატთა აღმასკომი, რაიონის სპორტკომიტეტი. მალე აუზს საუნაც ექნება, აერობიკამ კი უკვე მოიკიდა ფეხი.

მაგრამ პრობლემები მაინც არის, თუნდაც მასაჟისთვის განკუთვნილ ოთახში წყლის აყვანა, საჭირო ინვენტარის შეძენა, ოთახების მომატება...

იმედია კოოპერატივი „ჯანმრთელობა“ მალე ამ პრობლემებსაც გადაჭრის.

**მაია იაკობიშვილი,**
**თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე ს. თედეევი რამდენიმე ათეული წელია მუშაობს ამ უმაღლეს სასწავლებელში. იგი არაერთი სიახლის ავტორია. წელს ს. თედეევის კონსულტაციით ტანვარჯიშის კათედრაზე დაიდგა სპეციალური ტრენაჟორი, რომელიც სპორტსმენებს ეხმარება ფიზიკური თვისებების გამომუშავება-განმტკიცებაში.



## ორიენტირი — ჭაბუკთა II საკავშირო თამაშები

# კარგი დასაწყისი

**ჭაბუკმა** სპორტსმენებმა უკვე დაიწყეს მრავალეტაპიანი სამზადისი II საკავშირო თამაშებისთვის. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ ჩატარდა ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ძალების პირველი დათვალიერება, იოლად დავასკვნით, რომ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის მზადება მათ კარგად დაიწყეს. ტყიბულში, რესპუბლიკის თასის გათამაშებაზე ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის, ნაკრების ყველა წევრი და წევრობის კანდიდატი ასპარეზობდა, მათ შორის იყვნენ ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების 9 წევრი და თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონები, გორელი გიორგი ხინჩაგაშვილი და სამტრედიელი აკაკი გაბედავა. სულ ხალიჩაზე 128 სპორტსმენი გამოვიდა. შეჯიბრებას ჩვენი წამყვანი მწვრთნელებიც დაესწრნენ და არც მაღალი კატეგორიის არბიტრებმა ითაკილეს ჭაბუკთა შერკინების მსაჯობა.

ნაკრები გუნდის დაკომპლექტებაზე ჯერ ლაპარაკინაადრევია, ეს ასპარეზობა მზადების მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გუნდის კანდიდატთა სიას ახალი სახელებიც შეემატა.

3. გ. ... (პროფკავშირები).

**50.** 1. ნ. საატაძე; 2. ზ. ზოზოროვი (ორივე — პროფკავშირები); 3. გ. სისაური (შრ. რეზერვები).

**54.** 1. ქ. მოდოსიანი (პროფკავშირები); 2. მ. საზანაშვილი (შრ. რეზერვები); 3. ზ. გოგუა (პროფკავშირები).

**58.** 1. ხ. გოგიჩაშვილი; 2. ქ. გაგლოშვილი (ორივე — პროფკავშირები); 3. გ. ჯიქური (შრ. რეზერვები).

**63.** 1. გ. მაკოევი (შრ. რეზერვები); 2. გ. კანკია („დინამო“); 3. დ. ცაცაშვილი (პროფკავშირები).

**68.** 1. გ. ხინჩაგაშვილი (პროფკავშირები); 2. ბ. სამხარაძე („დინამო“); 3. დ. ხაბილაშვილი (შრ. რეზერვები).

**74.** 1. მ. ფურცაძე (შრ. რეზერვები); 2. გ. კოწოწაშვილი (პროფკავშირები); 3. ა. მგელაძე („დინამო“).

**81.** 1. ა. გაბედავა (პროფკავშირები); 2. გ. პატაშური („დინამო“); 3. გ. სულთანაშვილი (შრ. რეზერვები).

**88.** 1. რ. ბუზარიაშვილი (პროფკავშირები); 2. მ. ცოტაძე; 3. გ. გოგაშვილი (ორივე — შრ. რეზერვები).

**97.** 1. მ. ბაჯელაძე („დინამო“); 2. თ. ქავთარაძე; 3. რ. კუპატაძე (ორივე — შრ. რეზერვები).

**115.** 1. მ. ვალიევი, 2. გ. ჯანელიძე (ორივე — შრ. რეზერვები); 3. მ. ფარიაშვილი (პროფკავშირები).

**გუნდური.** 1. პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება — 392 ქულა; 2. შრომითი რეზერვები — 369; 3. „დინამო“ — 306.

## ძიუ...

**43 კგ.** 1. გ. ჯელაძე (შრ. რეზერვები); 2. ა. გაპოიანი; 3. ო. მჭედლიძე; (ორივე — პროფკავშირები).

**46.** 1. ბ. ქარდავა (პროფკავშირები); 2. პ. ლისენკო („დინამო“);

# და მაინც გამარჯვება

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები ნებისმიერი რანგის საკავშირო შეჯიბრებაზე ფავორიტის სახელით ასპარეზობს, მაგრამ ქვეყნის წლევანდელ ახალგაზრდულ პირველობაზე (მონაწილეობდნენ 1966-1969 წლებში დაბადებული სპორტსმენები), რომელსაც ალმა-ათა მასპინძლობდა, იგი საკმაოდ ძნელ პირობებში აღმოჩნდა; ჩვენს გუნდში სხვადასხვა მიზეზით ვერ მოხვდნენ ლიდერები; იაპონიაში გაემგზავრა ვახტანგ ჯაფარიძე, ტრავმა მიიღო ზათო ჯიქურმა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში იმყოფებიან რობერტ ლომთაძე და დავით ბაგაური.

და მაინც, წინა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა საქართველოს ნაკრებმა არ დათმო ტიტული, კვლავ პირველი ადგილი დაიკავა და 2,5 ქულით ჩამოიტოვა თავისი ტრადიციული მეტოქე, რსფსრ-ის გუნდი. მესამე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ.

პირად პირველობაში ოქროს მედალი მოიპოვა ახმეტელმა დავით ფიცხელაურმა (71 კგ), იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია, მას გუგული აზრამიშვილი და სულიკო ფეიქრიშვილი ავარჯიშებენ.

ჩვენმა ფალავნებმა ორი მეორე ადგილი დაიკავეს: მძიმე წონაში — თბილისელმა ვალერი პარუნაშვილმა, 75 კგ კატეგორიაში — გორელმა მიხეილ ჯალაბაძემ. თუმცა შეიძლებოდა, ეს მედლები ოქროსიც ყოფილიყო, ორივე ფინალურ შერკინებაში ჩემპიონი მსაჯთა გადაწყვეტილებამ — ჰანტეიმ გამოავლინა.

შეჯიბრებაზე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს გორელმა მიხეილ ხუმარაძემ (მძიმე) და საგარეჯოელმა ბადრი ბასილაშვილმა (60 კგ).

გუნდს ჩასათვლელი ქულები შესძინეს და მე-5 ადგილზე გავიდნენ საბა გუჯეჯიანი (65 კგ), თამაზ ჰელიძე (78), ოლეგ რატიანი (68), ზაზა დაბრუნდაშვილი და მიხეილ ხუმარაძე (ორივე—აბსოლუტური). სამწუხაროდ, ზაზა მარჯანიძემ (86 კგ) ჭიდაობისას ტრავმა მიიღო და შეჯიბრება ველარ გააგრძელა, არადა, ფინალამდე მას ხელის გაწვდენაღა რჩებოდა.

ჩვენს ძიუდოისტებს წარმატების მისაღწევად დიდად დაეხმარათ ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება, რომელიც გამოცდილი მწვრთნელების გურამ პაპიტაშვილის, ფირუზ მარტყოფლიშვილის სულიკო ფეიქრიშვილის, ბიძინა მოხევიშვილის, ომარ მერაბიშვილის, და ჯუმბერ ჯუთაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა გორში.

# ლიდერი არ შეცვლილა

**ვანი (ტელეფონით).** გრძელდება საქართველოს პროფკავშირების ღია პირველობა მრავალდღიან ველორბოლაში. საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა მეოთხე ეტაპზე (ვანი — ლანჩხუთი — ვანი), რომლის სიგრძე 110 კილომეტრს შეადგენდა. გამარჯვება „დინამოს“ წარმომადგენელმა თემურ გიგოლაევმა მოიპოვა — 2:45.20.

ოთხი ეტაპის ჯამში ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა. წინ კვლავ არმიელი ველოსიპედისტი მამუკა გვარამია.

**ავთანდილ გუნია,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**



# სპორტი — ყველა ასაკში

ამას წინათ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელებმა მოაწყვეს ცენტრალური აპარატის ფიზკულტურელთა ექსკურსია ლატვიის დედაქალაქ რიგაში. ექსკურსიის გარდა მათი მიზანი იყო რიგელ კოლეგებთან ამხანაგური შეხვედრების ჩატარება მინიფეხბურთსა და კალათბურთში.

წინადადება რიგელებმაც მოიწონეს. მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დროის უმცირეს მონაკვეთში ყველაფერი იღონეს, რათა ამხანაგური ასპარეზობები მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

მინიფეხბურთში შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს სტუმრებმა. კალათბურთში ისინი თავიდან დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლოს მატჩი მინიმალური ანგარიშით წააგეს. ამხანაგური შეხვედრის მონაწილეებს გადაეცათ საპატიო სიგელები და დიპლომები.

ორივე შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყოფილი დინამოელები, ვეტერანი ფეხბურთელი ზურაბ შხვაცაბაია და კალათბურთელი ვლადიმერ უგრეხელიძე.

გუნდები ვეტერანი სპორტსმენებით დაკომპლექტდა და მოამზადა კოტე არევაძემ.

გაისად რიგელი კოლეგები თბილისში გვესტუმრებიან.

## მოკლედ

### წინ ფინალური შეჯიბრებაა

სამტრედიაში გაიმართა ზონალური პირველობა მინიფეხბურთში უბნებს შორის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე.

გათამაშებაში პირველი ადგილი სამტრედიის რკინიგზელთა დასახლების გუნდმა მოიპოვა. იგი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებაში.

**იორამ ნიკოლეიშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

### ზანათლებმა ყველას აჯობეს

აბაშის რაიონში ერთ თვეს მიმდინარეობდა თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

ფინალში ერთმანეთს ზანათის კეთილმოწყობის საბჭოთა მეურნეობისა და პირველი მაისის კოლმეურნეობის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელები შეხვდნენ. ძირითად და დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა — 1:1, თერთმეტმეტრიანი დარტყმები უკეთ შეასრულეს ზანათელმა ფეხბურთელებმა, რადგანაც თასსაც ისინი დაეპატრონენ.

**„ლელოს“ კორ.**

### მოსწავლეთა შორის

**თერჯოლა.** დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის საშუალო და რვაწლიან სკოლებს შორის გამართულმა პირველობამ შვიდ კომპლექსის მრავალჭიდში. ყველაზე კარგად მომზადებული გუნდი თერჯოლის მეორე საშუალო სკოლამ გამოიყვანა. თერჯოლელებმა ბევრად გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ ჩხარის საშუალო სკოლის კოლექტივს. მესამე ადგილი თერჯოლის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს.

**ვანო კუტალაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

# ოთხგზის ფალავანი

დასასრული

ვიდა, როცა შეჯიბრება დამთავრებული იყო. ასეთ პირობებში მალხაზ ბერუაშვილის აქციები, ცხადია, ერთი-ორად გაიზარდა, თუმცა... იგი ისედაც ამ ტურნირის მთავარი ფავორიტი იყო.

ფავორიტად ითვლებოდა ბერუაშვილების გვარის კიდევ ორი წარმომადგენელი — გელა და თამაზი, მაგრამ ისინი მთავარ ბრძოლას ნახევარფინალში გამოეთიშნენ. თამაზი თბილისელმა ნიკოლოზ მარტაშვილმა დაამარცხა (უაღრესად მძაფრ და თანაბარ ორთაბრძოლაში მსაჯებმა გამარჯვება მარტაშვილს მიანიჭეს), გელა კი კასპელმა დავით ხოდელმა.

სხვათა შორის, ხოდელს ყურადღება სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ მივაქციეთ და ერთი საინტერესო აღმოჩენაც გავაკეთეთ: გაბედული და აზარტული მებრძოლი ავტორიტეტთა წინააღმდეგ უფრო დამაჯერებლად ჭიდაობდა. წინასწარ შეხვედრებში მოპოვებული გამარჯვებები თითქოს შეუმჩნეველი დაგვრჩა — ჩავთვალეთ, რომ მეტოქეები არ ჰყავდა ძლიერი. აი, გელა ბერუაშვილის დამარცხება კი უკვე რაღაცას ნიშნავდა. ყოველ შემთხვევაში ხოდელმა მთავარ ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო. ეს საინტერესო ფინალს გვპირდებოდა.

მეორე ფინალისტი, როგორც მოსალოდნელი იყო, მალხაზ ბერუაშვილი გახდა, რომელმაც დიდი უპირატესობით აჯობა ზაზა დაბრუნდაშვილს — ქარელელ სპორტის ოსტატს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს მოსწავლეთა შორის ძიუდოში.

გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ ოთხი შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო III-X ადგილებზე გასულ მოჭიდავეთა გამოსავლენად. მაგრამ მხოლოდ ორი ბრძოლა გაიმართა. გელა ბერუაშვილის გამოუცხადებლობის გამო მესამე საპრიზო ადგილი ზაზა დაბრუნდაშვილს მიეკუთვნა. ხაშურელ ვეფხია კაპანაძესთან შეხვედრაზე უარი თქვა მეორე ბერუაშვილმაც — თამაზმა. ამიტომ მეშვიდე ადგილი მის მეტოქეს მიენიჭა.

თბილისელმა გელა კოხოძემ (იგი 115 კილოგრამს იწონიდა) თავისი ბოლო ბრძოლა ნიკოლოზ მარტაშვილს (100 კგ) მოუგო და V ადგილი დაიკავა, სოსო ჯიჩოშვილი კი (თბილისი, 120 კგ) ერეკლე გურჩიანთან (თბილისი, 85 კგ) გამარჯვების შემდეგ მეცხრე ადგილს დაეპატრონა.

მალხაზ ბერუაშვილის (108 კგ) და დავით ხოდელის (92 კგ) შეხვედრით აბსოლუტურ ჩემპიონატში ყველა ადგილი საბოლოოდ განაწილდა. ეს ორთაბრძოლა, როგორც უკვე ვთქვით, მალხაზ ბერუაშვილმა მოიგო. იგი მეტოქეზე უფრო ძლიერი იყო ფიზიკურად და შეხვედრის ბედიც სწორედ ამ ფაქტმა გადაწყვიტა. თუმცა ხოდელიც არ გაურბოდა ბრძოლას და უშიშრად უტევდა მეტოქეს.

ჩემპიონატში ადგილები საბოლოოდ ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: 1. მალხაზ ბერუაშვილი, 2. დავით ხოდელი, 3. ზაზა დაბრუნდაშვილი, 4. გელა ბერუაშვილი, 5. გელა კოხოძე, 6. ნიკოლოზ მარტაშვილი, 7. ვეფხია კაპანაძე, 8. თამაზ ბერუაშვილი, 9. სოსო ჯიჩოშვილი, 10. ერეკლე გურჩიანი.

# „დინამო“ — „ვერდერის“ მატჩის წინ

ყველანი მოუთმენლად ველით ამ უაღრესად საპასუხისმგებლო თამაშს. სარედაქციო ფოსტაში წერილების გარდა მრავლადაა დეპეშები, ლექსები, ფეხბურთელებისადმი გამოგზავნილი პირადი ბარათები. გულშემატკივრები ჩვენი გუნდისგან მოელიან ენერგიულ, თავგამოდებულ, ვაჟკაცურ თამაშს, იმედი გვაქვს მაყურებლები მხარდაჭერას არ დააკლებენ ჩვენს გუნდს, მაგრამ ამავე დროს კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქომაგობასაც აქვს თავისი ეთიკური საზღვრები. ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირი მკაცრად ადევნებს თვალს იმ სტადიონებს, სადაც მიმდინარეობს კონტინენტის საკლუბო გუნდების თამაშები, გვწამს, რომ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე თავმოყრილი უამრავი გულშემატკივარი, როგორც ყოველთვის, არსებული საერთაშორისო ნორმების ფარგლებში უქომაგებს და წაახალისებს თავის გუნდს.

ვუქომაგოთ თბილისის „დინამოს“ ისე, როგორც ამას ჩვენი გულშემატკივრობის დიდი ტრადიციები მოითხოვს.

ჩვენმა კორესპონდენტებმა, აგრეთვე, თხოვნით მიმართეს რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებს თავიანთი აზრი გამოეთქვათ მომავალი საინტერესო მატჩის შესახებ.

## ქომაგობაც სამაგალითო უნდა იყოს

ევროპული თასის მერვედფინალის პირველმა შეხვედრამ ბრემენის „ვერდერთან“ დაგვიბრუნა ის იმედი და რწმენა, რომ ჩვენს ბიჭებს ძველებურად შეუძლიათ თამაში. თუ რა ადგილი უკავია ფეხბურთს ქართველი კაცის ცხოვრებაში ეს ყველამ კარგად ვიცით. კარგად გვესმის, რომ საპასუხო შეხვედრა თბილისის დინამოელთათვის ძნელი იქნება, მაგრამ გვჯერა, ისევე როგორც პირველ მატჩში, თბილისშიც გუნდი ძალებს არ დაზოგავს მიზნის მისაღწევად.

დინამოელთა ამ შეხვედრას ბევრ კითხვაზე შეუძლია გაგვცეს პასუხი. უპირველეს ყოვლისა, იმაზე, თუ როგორი იქნება „დინამო“-88-ის“ კონტურები. სხვათა შორის, ეს ჩვენთვის, ქართველი გულშემატკივრებისთვისაც ერთგვარი გამოცდა იქნება. საინტერესო საფეხბურთო სპექტაკლზე ქომაგობაც სამაგალითო უნდა იყოს. იმედია, სტუმართმოყვარე ქართველი გულშემატკივარი საკუთარ გუნდსაც მხურვალედ უქომაგებს და მეტოქეთა ოსტატობასაც ობიექტურად შეაფასებს.

**ოთარ ჯაფარიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე.

## ცხადია, სტუმართმოყვრულად

პრესის საშუალებით გავიგეთ, რომ ჩვენს დინამოელებსა და ტურისტებს სანაქებო სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ დასავლეთ გერმანიაში. სტუმართმოყვარეობა ჩვენი ეროვნული ნიშანია და, ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ მხრივ არ ჩამოვრჩებით არავის.

და კიდევ: ყველა გუნდს თავისი ქომაგი ჰყავს, ამას უბრალოდ სიყვარული ჰქვია. თბილისში „ვერდერსაც“ ჩამოჰყვება გულშემატკივრების ჯგუფი, ცხადია, პატივი უნდა ვცეთ მეტოქე გუნდის ქომაგებს. აი, ეს იქნება იმ პატივისცემის საზღაური, ჩვენი „დინამოს“ გულშემატკივრებს რომ შეხვდნენ ბრემენში იქაური გულშემატკივრები.

აფსუს, ჩვენს „დინამოსაც“ ჰქონდეს საკუთარი თილისმა!. „ვერდერის“ ქომაგის მიერ სტადიონზე წარმოდგენილმა თილისმამ ჩამაფიქრა: რა მოხდება ჩვენს „დინამოსაც“ რომ ჰქონდეს? ვითომ რამე დაშავდება ამით?

მაშ ახე: კვლავ სანაქებოდ ვუქომაგოთ ჩვენს გუნდს, ვიყოთ გულისხმიერნი მეტოქის მიმართ. ამას ჩვენი ეროვნული ხასიათიც ბრძანებს და უბრალო თავმოყვარეობაც.

**კარლო კობერიძე,**
მწერალი.

## თქვენს გვერდით ვართ...

გულშემატკივრები რწმენით აღვსილნი, იმედით ვეგებებით თბილისის „დინამოსა“ და ბრემენის „ვერდერის“ საპასუხო მატჩს, გვჯერა, რომ თვით დინამოელი ფეხბურთელებიც ფსიქოლოგიურად ასევე რწმენით და იმედით არიან აღვსილნი.

თბილისელ ფეხბურთელებს უნდა ახსოვდეთ, რომ სწორედ ამ ეტაპზე შეუძლიათ მოიპოვონ ფსიქოლოგიური რწმენა, რომელიც მათ ესოდენ სჭირდებათ მომავალ სეზონში.

ცხადია, როგორც გვჩვევია, თამაშის დაწყებამდე „ვერდერის“ ფეხბურთელებსაც ტაშით შევეგებებით, მაგრამ ამავე დროს ყოველნაირად შევეცდებით მხარი დავუჭიროთ ჩვენს გუნდს, გავამხნევოთ დინამოელი ფეხბურთელები, ვინაიდან მათი დიდი იმედი გვაქვს. ამ საპასუხო მატჩში გვჯერა, რომ „დინამო“ ძალებს და შესაძლებლობებს სრულად გამოავლენს.

**რეზო თაბუკაშვილი ... რეზო თავართქილაძე,**
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

## დეპეშა ნომერში

„საკავშირო პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა ტურიზმის საკავშირო სემინარის მონაწილენი დონის როსტოვიდან წარმატებას უსურვებენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს მეტად რთულ და საინტერესო საპასუხო მატჩში ბრემენის „ვერდერთან“. ვუსურვებთ მათ ითამაშონ ისე, როგორც 1981 წელს ითამაშეს.

სემინარის ხელმძღვანელი **ვლადიმერ კოტლიარი**“.

## „ვერდერი“ ლიდერია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილ ტურში თბილისის „დინამოს“ მეტოქემ უეფა-ს თასის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში ბრემენის „ვერდერმა“ ანგარიშით 2:0 (1:0) დაამარცხა „კარლსრუე“ და კვლავინდებურად ლიდერობს გათამაშებას.

ბრემენელმა ფეხბურთელებმა 18 მატჩში 13 გამარჯვება მოიპოვეს და მხოლოდ ერთხელ განიცადეს მარცხი.

## უეფა-ს თასის სნაიპერები

ფეხბურთში უეფა-ს თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩების წინ ამ შეჯიბრების სნაიპერთა სია ასეთია:

6 ბურთი გაიტანა კალმან კოვაჩმა (ბუდაპეშტის „ჰონვედი“), 5-5 — ბროლმა (ბელგიის „ბრიუგე“) და სარავაკოსმა („პანათინაიკოსი“) 4 — ტუჩემ (მოსტარის „ველეჟი“), ელკიაერ-ლარსენმა (ვერონის „ელასი“). მილმა (დორტმუნდის „ბორუსია“), რიდლემ (ბრემენის „ვერდერი“).

იმ 13 ფეხბურთელს შორის, რომლებმაც 3-3 ბურთი გაიტანეს, არის თბილისის დინამოელი რამაზ შენგელიაც.

## ოლიმპიურ სარბიელზე

გრძელდება მომავალი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩები.

ევროპის „ა“ ჯგუფში საბერძნეთის ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნიეს პოლონეთის გუნდთან შეხვედრაში — 0:1.

„ე“ ჯგუფში იუგოსლავიისა და ბელგიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ბელგიელთა გამარჯვებით — 4:0.

# სტატისტიკა, სტატისტიკა

⊙ დინამოელთა ღირსებას 1987 წლის ჩემპიონატში იცავდა 31 ფეხბურთელი, რომელთაგან 3 მეკარე იყო. უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდათ თ. ქეცბაიას (14 თამაში, 4 გოლი), გ. ფირცხალავას (4, 1), მ. ბიგვავას (3), 5 მ. აფციაურს (3), ჯ. გუბაზს (3), ვ. მიქაშავიძეს (2) და გ. ჭანტურიას (1), უშუალოდ „დინამოში“ კი დებიუტი ჰქონდა 4 ფეხბურთელს: ო. კორღალიძეს (21 თამაში, 3 გოლი), ს. მალანიას (6), გ. აჯოევს (4) და რ. ხაგბას (3).

⊙ თბილისელთა მიერ გატანილი 25 გოლი მოდის 11 ფეხბურთელზე: რ. შენგელია — 9, გ. გურული, თ. ქეცბაია — 4-4, ო. კორღალიძე — 3, ა. ჩივაძე, ს. ჭედია, გ. ცაავა, ნ. კაკილაშვილი — 2-2, რ. ჩელებაძე, მ. ფანცულაია და გ. ფირცხალავა — 1-1. აღნიშნული 25 ბურთი ჩვენმა ფეხბურთელებმა გაიტანეს 14 გუნდის კარში, დინამოელებმა მხოლოდ „დნეპრის“ კარის აღება ვერ შეძლეს.

⊙ დინამოელთა კარში გატანილი 40 ბურთი მოდის 14 გუნდის 31 ფეხბურთელზე. მხოლოდ „გურიამ“ ვერ შეძლო თბილისელთა კარის აღება. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს „დნეპრმა“, „ჟალგირისმა“ და კიევის „დინამომ“ — 5-5, ხოლო ცალკეულ ფეხბურთელთაგან — ა. მიხაილიჩენკომ — 3. მან, ი. სავიჩევთან, ო. პროტასოვთან და ს. ბარანაუსკასთან ერთად, ბურთები დინამოელთა კარში გაიტანა თბილისშიც და შინაც.

⊙ მიმდინარე სეზონში თბილისელებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი გუნდის ორჯერ დამარცხება, 3 გუნდთან კი — „დინამო“ (მნ.), „დინამო“ (მ.) და „გურია“ აიღეს 3-3 ქულა.

⊙ გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდების დადებითი ბალანსი თბილისელებს აქვთ მინსკის „დინამოსთან“, მოსკოვის „დინამოსთან“, „მეტალისტთან“ და „გურიასთან“, თანაბარი — „შახტიორთან“, „არარატთან“, „ქაირათთან“, „ზენიტთან“ და ცსკა-სთან, ხოლო დანარჩენებთან — უარყოფითი.

⊙ დინამოელებს 9 თამაშში გოლი არ გაუშვიათ, ასევე 9 მატჩში გოლი არ გაუტანიათ.

⊙ გაშვებული 40 გოლი მოდის ორ მეკარეზე: ო. გაბელია —36, მ. აბუსერიძე — 4.

⊙ „დინამოს“ მატჩებს მოემსახურა 11 ქალაქის 17 მსაჯი, ყველაზე მეტი (4-4) მატჩი იმსაჯეს ა. კირილოვმა (მოსკოვი) და ი. ტიმოშენკომ (დონის როსტოვი). 13 მსაჯმა 8 თბილისელს 16 ყვითელი და 1 წითელი ბარათი უჩვენა.

⊙ დინამოელებმა 5 პენალტი დაარტყეს 4 გუნდის კარში. მათგან 2 ბურთი გაიტანეს, ვ. ჟვანიას და გ. გურულის დარტყმები მოიგერიეს მეკარეებმა ა. უვაროვმა („დინამო“ მ.) და ა. საცუნკევიჩმა („დინამო“ მნ.), ხოლო ა. ჩივაძის დარტყმა აცდა „ჟალგირისის“ კარს. 2 პენალტი გაიტანა გ. გურულმა. აღსანიშნავია, რომ ყველა პენალტი თბილისელებმა საკუთარ სტადიონზე დაარტყეს.

დინამოელთა კარშიც 5 პენალტი დაინიშნა 4 გუნდის სასარგებლოდ. გატანილი იქნა 4 პენალტი, ს. ფოკინის (ცსკა) დარტყმული პენალტი კი მოიგერია ო. გაბელიამ.

⊙ „დინამოს“ მწვრთნელებმა ყველა 30 მატჩში გამოიყენეს ფეხბურთელთა შეცვლის უფლება. შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს 9 ბურთი. ყველაზე მეტჯერ შეცვლაზე შემოვიდა რ. შენგელია — 9-ჯერ, მან გაიტანა 4 ბურთი.

⊙ ყველაზე მეტი მატჩი ითამაშეს ო. გაბელიამ, ა. ჩივაძემ და ს. ჭედიამ — 29-29, მათგან მხოლოდ ა. ჩივაძემ — შეუცვლელად.

⊙ მთელი ჩემპიონატის მანძილზე სატურნირო ცხრილში თბილისელთა საუკეთესო ადგილი იყო მე-11, ისიც ერთხელ, მე-17 ტურში.

⊙ ჩვენი გუნდის საშუალო ასაკი იყო 24,2 წელი, ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელია ო. გაბელია — 34 წელი, ყველაზე ახალგაზრდა — მ. აფციაური — 18 წ.

⊙ თბილისის „დინამოს“ განვლილ ჩემპიონატში უხელმძღვანელა ორმა უფროსმა მწვრთნელმა: ქ. ასათიანმა (21 თამაშში 5 მოგება, 5 ფრე, 11 წაგება, ბურთები 17:29, 15 ქულა) და გ. ზონინმა (შესაბამისად 9 მატჩი, 4 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება, ბურთები 14:11, 10 ქულა).

გ. გურულის მიერ მე-13 ტურში მოსკოვის „დინამოს“ კარში პენალტით გატანილი გოლი საიუბილეო, 2100-ე იყო თბილისის „დინამოსთვის“ საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

**რევაზ კობაძე.**

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 45-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის.**

„მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 6:0, „მადნეული “ (ბოლნისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:2, „სულორი“ (ვანი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:2, „კოლხეთი“ (ხობი)„დინამო“ (გაგრა) 5:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 4:2, „კახეთი“ (თელავი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:2, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:5, „ივერია“ (ხაშური) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:2, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:5, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:4.

ფეხბურთი

# სკანდალური ისტორია

ეს, მართლაც, სკანდალური ისტორია დაიწყო მაშინ, როცა ჰოლანდიისა და კვიპროსის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში როტერდამის სტადიონზე ჰოლანდიელთა რომელიღაც გულშემატკივარმა ბომბი ისროლა და მძიმედ დააზიანა კვიპროსელთა მეკარე. თამაში თითქმის ერთი საათით შეწყდა, შემდეგ კვლავ განახლდა და საბოლოოდ ჰოლანდიელთა გამარჯვებით დასრულდა — 8:0.

მას შემდეგ ევროპის საფეხბურთო სამყაროს მოსვენება არა აქვს, ამ სკანდალური მატჩის თაობაზეც ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოდის. ჯერ იყო და უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა მატჩის შედეგი გააუქმა, მასპინძლებს ანგარიშით 0:3 ჩაუთვალა დამარცხება, შესაბამისად ასეთივე ანგარიშით გამარჯვება მიენიჭათ კვიპროსელებს.

ამ გადაწყვეტილებამ პირველი უარყოფითი რეაქცია, რა თქმა უნდა, ჰოლანდიელთა მხრივ გამოიწვია. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მათი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლა, ვინაიდან მოსალოდნელ მატჩს საბერძნეთის გუნდთან, ისიც მეტოქის მინდორზე, შეიძლება სწორედ მთავარი კონკურენტისთვის მოეტანა ფინალის საგზური, ამის თაობაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ჰოლანდიელთა მწვრთნელმა რ. მიხელსმა, გუნდის კაპიტანმა რ. გულიტმა და სხვებმა. ჰოლანდიელებს უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტის ეს მკაცრი სანქცია შეუსაბამობად მიაჩნდათ, ვინაიდან ჰოლანდიის ნაკრებმა მხოლოდ თავისი სიძლიერის წყალობით მიაღწია ფინალის საგზურს და ვიღაც დამთხვეული ფანატიკოსის მიერ ნასროლი ბომბის გამო ძლიერი გუნდი ვერ უნდა მოხვედრილიყო ჩემპიონატის ფინალში. გარდა ამისა, ჰოლანდიელები ირწმუნებიან, რომ შესაძლოა ბერძნების სტადიონზეც ტყორცნოს ბომბი ასეთივე ფანატიკოსმა, თუნდაც, ჰოლანდიელმა გულშემატკივარმა და მაშინ უეფა-ს საერთოდ გაუჭირდება გონივრული გადაწყვეტილების გამოტანა.

ამიტომ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ სასწრაფოდ გააპროტესტა სადისციპლინო კომიტეტის დადგენილება, უეფა-ს ხელმძღვანელობამ განიხილა ეს აპელაცია და სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება კვიპროსელთათვის გამარჯვების მინიჭების თაობაზე გააუქმა. უეფა-მ ხელახლა დაადგინა შესარჩევი მატჩი ჰოლანდიისა და კვიპროსის გუნდებს შორის ჩატარდეს ჰოლანდიაში, მაგრამ არა როტერდამის, არამედ სხვა ქალაქის სტადიონზე და აუცილებლად 16 დეკემბრამდე, როცა გათამაშება შესარჩევ ჯგუფში მთლიანად უნდა დასრულდეს.

მეტიც: უეფა-მ მიიჩნია, რომ კვიპროსის ფეხბურთელებმა თვითნებურად დატოვეს სათამაშო მინდორი, ამიტომაც საკმაოდ მოზრდილი ფულადი თანხით დააჯარიმა კვიპროსის ფეხბურთის ფედერაცია.

ჰოლანდიელთა ბანაკი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა იმით, რომ იგი არ დაზარალდა ვიღაც ხულიგნის გამო და მატჩის გადათამაშებაც ამ ორ გუნდს შორის ყველაზე სწორ კომპრომისად მიიჩნია შექმნილი რთული მდგომარეობიდან. ბევრი ჰოლანდიელი მიმომხილველი იმასაც აღნიშნავს, რომ ამგვარი მეთოდით ძნელი არაა ფანატიკოსების მოსყიდვა მოწინააღმდეგე ბანაკიდან და მაშინ ყველას მიეცემა საშუალება ჩაშალოს მატჩი როცა კი მას მოეპრიანება.

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი გუნდის შეხვედრა კვიპროსელებთან 9 დეკემბერს შედგება ამსტერდამში. უეფა-ს დადგენილების შესაბამისად მატჩს არ დაესწრება არც ერთი მაყურებელი, არ იწარმოებს არც ტელე და რადიოგადაცემა.

ახლა, თავის მხრივ, უკმაყოფილონი ბერძნები დარჩნენ. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა გადამწყვეტი მატჩი ჰოლანდიელებთან ჩაეტარებინა არა ათენში, არამედ ერთ-ერთ პროვინციულ, მიყრუებულ ქალაქში და ჰოლანდიელთა წინააღმდეგ გამოეყვანა არა ძირითადი, არამედ 18 წლამდე იუნიორთა ნაკრები.

ეს უკვე აშკარა დემარში იყო და მას ურეაქციოდ ალბათ არ დატოვებდნენ. ამიტომაც ბერძნები დროზე მოვიდნენ გონს და დროზევე გადაწყვიტეს, რომ არ შეიძლება ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის ასეთი შანსის ხელიდან გაშვება. ბოლოს და ბოლოს, სანუკვარი მიზნის მისაღწევად ბერძენმა ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე უნდა მოუგონ ერთი, ერთადერთი მატჩი ჰოლანდიელებს. ეს მათ შეუძლებელ საქმედ არ მიიჩნიეს და ამიტომაც გადაწყვიტეს ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლონ, ხელიდან არ გაუშვან ეს შესაძლებლობა.

და, აი, ბერძნების ახალი გადაწყვეტილება: როგორც საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა პანაიოტის ალამატრასმა განაცხადა, საბერძნეთისა და ჰოლანდიის გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პროვინციულ ქალაქ ალექსანდროპოლისში კი არ ჩატარდება, როგორც ეს ადრე იყო გამოცხადებული, არამედ კუნძულ როდოსის სტადიონზე. ტელე და რადიოტრანსლაცია არ იწარმოებს, საბერძნეთის ნაკრებს დააკომპლექტებენ გამოცდილი, ცნობილი ფეხბურთელებით, მაგრამ მათი რიცხვიდან, ვისაც უწინ არც ერთხელ არ უთამაშია თავისი ქვეყნის მთავარ გუნდში. ესეც საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება გახლავთ, მაგრამ საბოლოოა კი იგი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რას იტყვიან ნაკრების ის წევრები, რომლებმაც დღემდე ჩატარებულ მატჩებში ასეთი წარმატება მოუტანეს საბერძნეთის გუნდს?. 16 დეკემბრამდე დრო საკმარისია, ალბათ, ახალი ცნობებიც მოვა.

# ნორჩ დინამოელთა უპირატესობით

**ქუთაისში** დამთავრდა 1972-1973 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა რესპუბლიკური პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის „მართვესა" და „დინამოს", ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და რუსთავის კოლექტივები.

გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები „დინამოსა" და „მართვეს" კალათბურთელები იყვნენ და გადამწყვეტი ბრძოლაც სწორედ მათ შორის გაიმართა. ამჯერად დინამოელებმა იმარჯვეს — 52:49 (28:19) და პირველ ადგილსაც დაეუფლნენ. „დინამოს" ბავშვთა სპორტული სკოლის კალათბურთელებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლევან ინწკირველი, სკოლის დირექტორი გივი ბიჭიაშვილი), ისევე როგორც, „მართვეს" გუნდმა, კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

ნორჩმა დინამოელებმა სხვა მეტოქეები შედარებით ადვილად დაამარცხეს: რუსთავი ანგარიშით 58:32 (30:23), სოხუმი — 61:29 (27:11), ბათუმი — 53:25 (27:8), ქუთაისი — 61:37 (27:20). გამარჯვებული გუნდი კარგად მოემზადა ტურნირისთვის. ნორჩი კალათბურთელები ვარჯიშობდნენ ნატანებში, სადაც ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გივი წითლიძემ ნორმალური წვრთნისა და დასვენებისათვის მათ ყველა პირობა შეუქმნა.



**ს უ რ ა თ ზ ე:** გამარჯვებული გუნდი და მისი მწვრთნელები.

## ევროპის ჩემპიონთა თასი

# ისევ და ისევ გალისი

**ბრძელდება** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირი კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მონაწილეობით (წლევანდელ ევროპულ ტურნირებში საბჭოთა გუნდები, როგორც ცნობილია, არ თამაშობენ).

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ საბერძნეთის კლუბმა „არისმა" პირველი შეხვედრა მოიგო ბრწყინვალედ მოთამაშე გალისის წყალობით. გალისმა მეორე ტურის მატჩიც საუკეთესოდ ჩაატარა, თანაც ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც ესპანეთის „ბარსელონაა". ბერძნებმა ეს შეხვედრა მინიმალური უპირატესობით მოიგეს (89:88), მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ გალისმა ამ შეხვედრაში თავის კოლექტივს 45 ქულა შესძინა. ევროპის 1987 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე კვლავ ჩინებულ ფორმაშია და თავისი ოსტატური თამაშით კლუბის წარმატებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს. ორი გამარჯვებით „არისი" გათამაშების ლიდერი გახდა.

ფინალურ ასპარეზობაში სულ რვა გუნდი თამაშობს, ამათგან ექვსს თითო მოგება და წაგება აქვს, აი, „ბარსელონას" კი ჯერ არც ერთხელ არ გაუმარჯვია.

# სენსაცია მილანში

**კალათბურთში** იტალიის ჩემპიონატზე სენსაცია მოხდა მეოთხე ტურში. ადგილობრივი „ტრეისერი" მილანში დამარცხდა ვენეციის „პიტაშისთან" — 80:81. „სენსაცია მილანში" ამ სათაურებით იყო აჭრელებული იუგოსლავიის გაზეთები. მათი აღფრთოვანება ადვილი გასაგებია — ვენეციელთა გუნდში სამი იუგოსლავიელია — უფროსი მწვრთნელი პეტარ სვანსი და მოთამაშეები: ოლიმპიური ჩემპიონები დრაჟენ დალიპაგიჩი და რატკო რადოვანოვიჩი. როგორც ჩანს, ვენეციელებმა შეძლეს „ტრეისერის" ლიდერის ბობი მაკადუს (27 ქულა) უვნებელყოფა. გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ვენეციელებმა შემდეგ ტურში „ბენტონის" სძლიეს — 91:89. დალიპაგიჩმა გუნდს 41 ქულა შესძინა.

კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა „პიტაშიმ", რომელმაც მეშვიდე ტურში საკუთარ მოედანზე სძლია (101:95) ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს „სკავოლინის". ვენეციელთა წარმატებას ბევრად შეუწყო ხელი მათი ლიდერის დრაჟენ დალიპაგიჩის (57 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა.

მეოთხე ტურში წაგების შემდეგ მილანის „ტრეისერი" კვლავ დამარცხდა, რაც ბოლო წლებში იშვიათად ემართება ამ კლუბს. გუნდმა ამჯერად მეტოქის მოედანზე წააგო „ალიბერტისთან" — 96:112 და გაგულისებულმა ჯავრი იყარა ბოლონიის „დიეტორზე", რომელსაც სათავეში უდგას იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კრეშიმირ ჩოსიჩი. 118:100 — ამ ანგარიშით დამთავრდა მატჩი „ტრეისერის" სასარგებლოდ.

ჩინებული სტარტი აიღო „სნაიდერომ" (კაზერტა) — 8 მატჩიდან ყველა მოიგო და ახლა 16 ქულით ქვეყნის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. „სნაიდერო" ძლიერად თამაშობს როგორც საკუთარ, ისე მეტოქის მოედანზე. მეხუთე ტურში გუნდმა ბრეშიაში დაამარცხა ადგილობრივი გუნდი — 126:118. ამ მატჩში ბრაზილიელმა ოსკარ შმიტმა „სნაიდეროს" 52 ქულა შესძინა. ბოლო, მეშვიდე ტურში კი ასევე გასვლით მატჩში, „სნაიდერომ" „ალიმერტის" სძლია — 84:80. მიმომხილველები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ გუნდი ჩინებულ სტარტს ოსკარ შმიტის ბრწყინვალე თამაშს უნდა უმადლოდეს.

# ჯონსონი და ჯოინერი — წლის სპორტსმენები

**ცნობილმა** სპორტულმა სააგენტომ „ინტერნაციონალ შპორტ კორესპონდენცმა" ჩაატარა თავისი ტრადიციული ანკეტა — „დაასახელეთ წლის № 1 სპორტსმენი ვაჟი და სპორტსმენი ქალი"? ამ კითხვაზე ბევრმა სპორტულმა ჟურნალ-გაზეთმა უპასუხა. აი, ზოგიერთი პასუხი: „სოვეტსკი სპორტი" (მოსკოვი): ბუბკა, კოსტადინოვა (ბულგარეთი) „სტარს ენდ სტრიპსი" (ვაშინგტონი, აშშ): ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), გრაფი (გფრ). „პლაკარი" (სან-პაულუ, ბრაზილია): ჯონსონი (კანადა), გრაფი. „ჩესკოსლოვენსკი სპორტი" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) ბუბკა, ჯოინერ-კერსი (აშშ). „ბტ კოპენჰაგენი" (დანია): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი „კიკერ-შპორტმაგაზინი" (ნიუსნბერგი, გფრ): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი „სანდი ტელეგრაფი" (ლონდონი, ინგლისი): როჩე (ირლანდია), ნავრატილოვა (აშშ). „ეკიპი" (პარიზი, საფრანგეთი): ჯონსონი, ნავრატილოვა, „კორიერე დელო სპორტი" (რომი, იტალია): ტაისონი (აშშ), გრაფი „მაინიკი სიმბუნი" (ტოკიო, იაპონია): ჯონსონი, ნავრატილოვა, „სპორტსკე ნოვოსტი" (ზაგრები, იუგოსლავია): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „გლობ ენდ მეილ" (ტორონტო, კანადა): ჯონსონი, ვალისერი. „ავრო-ს სპორტს პანორამა" (ჰილვერსუმი, ჰოლანდია): როჩე, გლადიში (გდრ). „ბელფასტ ტელეგრაფი" (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია): აუიტა (მაროკო) გლადიში. „აფტენპოსტენი" (ოსლო, ნორვეგია): როჩე, ჯოინერ-კერსი. „ოჰეროსტნახრიხტენი" (ლინცი, ავსტრია): ჯონსონი, ვალისერი. „პშეგლონდ სპორტოვი" (ვარშავა, პოლონეთი): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „ა ბოლა" (ლისაბონი, პორტუგალია): ჯონსონი, გრაფი. „სკოტსმენი" (ედინბურგი, შოტლანდია): ჯონსონი, გლადიში. „სვენსკა დაგბლადეტი" (სტოკჰოლმი, შვეცია) ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „შპორტი" (ციურიხი, შვეიცარია): ჯონსონი, გრაფი. „ელ მონდო დეპორტივო" (ბარსელონა, ესპანეთი): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „ნეპშპორტი" (ბუდაპეშტი, უნგრეთი): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „ალ-აჰრამი" (კაირო, ეგვიპტე): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „ელ-მუჯა ჰიდი" (ალჟირი): ჯონსონი, გრაფი. „სპორტ პოპულერი" (ტირანა, ალბანეთი): ჯონსონი, კოსტადინოვა. „ინსტიტუტ სპორტი" (შანხაი, ჩინეთი): ჯონსონი, კოსტადინოვა. „ლა პრენსა ლიბრე" (სან-ხოსე, კოსტა-რიკა): ჯონსონი გრაფი. „ელ-უნივერსო" (გუაიაკილი, ეკვადორი): ბეკერი (გფრ), გრაფი. „ჰუფვუდსტადსბლადეტი" (ჰელსინკი, ფინეთი): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი. „გრაფიკ სპორტსი" (აკრა, განა): ჯონსონი, ნავრატილოვა. „მაარივი" (ტელ-ავივი, ისრაელი): ჯონსონი, ჯოინერ-კერსი, „ფოლკსბლადეტი" (ვაანი, ლიხტენშტაინი): ჯონსონი, გრაფი. „ტაგესბლატი" (ეში, ლუქსემბურგი): ჯონსონი, გლადიში. „ტვ დე მავრიტანია" (მავრიტანია): აუიტა, ნავრატილოვა. „ასჰარკ ალ ავსატი" (ელ-რიადი, საუდის არაბეთი), აუიტა, გლადიში. „აქსიონი" (ტუნისი): აუიტა, ნავრატილოვა. „ტერკუმანი" (სტამბოლი, თურქეთი) ჯონსონი, ლონგო (საფრანგეთი). ანკეტის შედეგად გამოირკვა, რომ ვაჟთა შორის დიდი უპირატესობით გაიმარჯვა განთქმულმა მძლეოსანმა ბენ ჯონსონმა (კანადა). მან 161 ქულა მოაგროვა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს მძლეოსანმა საიდ აუიტამ და ველომრბოლმა სტეპენ როჩემ (ირლანდია) — 75 ქულა თითოეულს. მეოთხეა, მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მაიკ ტაისონი (აშშ) — 48 ქულა, მეექვსე — მძლეოსანი სერგეი ბუბკა — 34. მეშვიდე — მძლეოსანი პატრიკ შიობერგი (შვეცია) — 27. მერვე ადგილზე გამოვიდა მოთხილამურე პერმინ ცურბირგენი (შვეიცარია) 21. მეცხრეზე — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის შუგარ რეი ლეონარდი (აშშ) — 17. მეათე ავტომრბოლ ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 16 და ა. შ.

სულ დაასახელეს 12 ქვეყნის 24 სპორტსმენი.

ქალთა შორის გაიმარჯვა მძლეოსანმა ჯეიკ-ჯოინერ-კერსიმ (აშშ) — 104 ქულა. მეორეზეა ჩოგბურთელი შტეფი გრაფი (გფრ) — 86 ქულა, მესამეზე — ასევე ჩოგბურთელი მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 78. მეოთხე ადგილზე გამოვიდა მძლეოსანი სილკე გლადიში (გდრ) — 68, მეხუთეზე—მძლეოსანი სტეფკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) — 59. მომდევნო ადგილები 6. ჟენი ლონგო (საფრანგეთი) ველოსპორტი, 42. 7. მარია ვალისერი (შვეიცარია) თხილამურები, 29. 8. კრისტინ ოტო (გდრ) ცურვა, 27. 9. კატარინა ვიტი (გდრ) ციგურაობა, 16. 10. ბიანკა პანოვა (ბულგარეთი) მხატვრული ტანვარჯიში, 12 ქულა და ა. შ.

სულ დასახელებულია 10 ქვეყნის 17 სპორტსმენი ქალი.

**მოამზადა გივი თორელმა.**

# გამგზავრებით კი გაემგზავრნენ...



**მოყვარული** რეგბისტებისათვის ბოლო სეზონი განსაკუთრებული გამოდგა — ახალი ზელანდიისა და ავსტრიის სტადიონებზე რეგბის ისტორიაში პირველად ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება. ამის შემდეგ გუნდებმა ორი თვით შეისვენეს და კვლავ ტრადიციულ ტურნეებში გაემგზავრნენ.

გამგზავრებით კი გაემგზავრნენ, მაგრამ პირველივე ტურნე სკანდალური გამოდგა. გუნდი, რომელსაც „სამხრეთი წყნარი ოკეანის ბარბაროსები" ერქვა, რეგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) აკრძალვის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩავიდა. სტუმრებმა 13 შეხვედრა გამართეს და მხოლოდ ერთში დამარცხდნენ. სხვათა შორის, დურბანში მათ მოუგეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს — 19:16, მაგრამ ტურნეს სპორტული შედეგები აშკარად დაჩრდილა მოვლენის პოლიტიკურმა მხარემ: ფიჯისა და სამოას რეგბის კავშირებმა თავიანთ მოთამაშეებს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. ფიჯელებმა თავიანთი ნაკრების მენეჯერი, ახალზელანდიელი ართურ ჯენინგზიც დაითხოვეს.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა — ფრანგებმა საწვრთნელი ტურნე გამართეს შოტლანდიაში. მათ ორი მატჩი მოიგეს, ორშიც — დამარცხდნენ, მათ შორის შოტლანდიის ნაკრებთანაც (გალაშილსში 12:15), თუმცა ეს შედეგი ამ ორი გუნდის შეხვედრათა ოფიციალურ ბალანსში არ შედის.

მსოფლიოს თასის გათამაშებაში ხელმოცარული ავსტრალიელები საუკეთესო შემადგენლობით (აკლდათ მხოლოდ ყოფილი და ახალი კაპიტნები — სლექი და ქოუდი) ეწვივნენ არგენტინას. სტუმრებმა ბუენოს-აირესის „სან ისიდროსთან"— თამაში ფრედ (22:22) დაამთავრეს. შემდგომში ავსტრალიელები იოლად გაუსწორდნენ პოლიციის ნაკრებსა და მენდოზას, სანტა ფესა და როზარიოს გუნდებს, ასუნსიონში მოუგეს არგენტინელი რეგბისტებით გაძლიერებულ პარაგვაის ნაკრებს — 45:9 და ბოლოს ბუენოს-აირესში ორი ე. წ. ტესტ-მატჩი გამართეს. პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 19:19, მეორეში გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 27:19. მასპინძელთა გამარჯვებაში დიდი წილი დაიდო გუნდის კაპიტანმა, უგო პორტამ, რომელმაც გუნდს 23 ქულა შესძინა. აღსანიშნავია, რომ პორტა 1985 წელს მსოფლიოს საუკეთესო რეგბისტად იყო აღიარებული, მაგრამ მსოფლიო თასზე მისმა უხეირო თამაშმა არგენტინის გუნდი მეოთხედფინალის მიღმა დატოვა. ამავე შეხვედრით საერთაშორისო კარიერა დაასრულა ავსტრალიელთა გუნდის ბურჯმა ენრიკე როდრიგესმა. მან ნაკრებ გუნდებში 41-ჯერ ითამაშა, აქედან 15-ჯერ არგენტინის, ხოლო 26-ჯერ ავსტრალიის ღირსება დაიცვა. საქმე ისაა, რომ 1984 წელს როდრიგესი არგენტინიდან ავსტრალიაში გადასახლდა.

იაპონელი რეგბისტები ევროპაში პირველად 1973 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდნენ და მაშინვე საყოველთაო სიმპათია დაიმსახურეს. მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში ისინი ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ ფავორიტებად აღიარებულ ავსტრალიელებს (ანგარიშით 23:42 დამარცხდნენ), მაგრამ მერე თანამემამულეთა წინაშე შეირცხვინეს თავი: იაპონიაში ჩასულ მსოფლიოს უძლიერეს გუნდთან, ახალი ზელანდიის ნაკრებთან სამჯერ წააგეს „ასტრონომიული" ანგარიშით — 0:94, 0:74, 4:106. იაპონიაში ახალზელანდიელებმა კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვეს: სძლიეს „აზიელ ბარბაროსებს" — 96:3 და იაპონიის რეგბის კავშირის ხელმძღვანელთა მიერ შედგენილ „ვარსკვლავთა" გუნდს — 38:9.

აშშ-ის ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველი ტურნე გამართა, უელსში. სტუმრებმა ჯერ სამი მატჩი წააგეს სუსტ კლუბებთან, შემდეგ სძლიეს უელსის თასის ამჟამინდელ მფლობელს — ქალაქ ნისის გუნდს (15:6), მეხუთე შეხვედრაში, კი, კარდიფის „არმზ ფარქზე", მსოფლიოს მესამე გუნდთან — უელსის ნაკრებთან გამანადგურებელი ანგარიშით — 0:46 დამარცხდნენ. მასპინძლებმა ამ მატჩში 8 ლელო გაიტანეს.

როგორც იქნა, ინგლისშიც შემოიღეს ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში რეგბის კავშირში გაერთიანებული ყველა რანგის 2000 სამოყვარულო კლუბიდან 106 ჯგუფად დაყოფილი 1128 კლუბი ჩაება. უძლიერესი სამოყვარულო კლუბები დაიყვნენ სამ ლიგად, თითეულში 12 გუნდია. უელსის რეგბის კავშირმა კი უელსური კლუბების მატჩებში ბოლო წლებში გახშირებული მუშტი-კრივის ალსაკვეთად ერთი წლით შემოიღო ე. წ. სინ ბინი — მოთამაშის მოედნიდან 10 წუთით გაძევება. ეს წესი უელსელებმა პროფესიული (ცამეტმოთამაშიანი) რეგბის წესების ბრიტანულ ვერსიიდან „ისესხეს". სინ ბინს არ გამოიყენებენ მხოლოდ ინგლისის კლუბებთან და ნაკრებთა მატჩებში.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 49-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი 16 (საცხენოსნო სპორტი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 39 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 4 (კროსი), 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 15 (ბაიდარკებით და კანოეებით ნიჩბოსნობა), 22 (წყალში ხტომა).

## „სპორტპროგნოზი"

**49-ე ტირაჟის შედეგები**

**(5-6 დეკემბერი)**

1-1, 2-1, 3-1, 4-2, 5-2, 6-2, 7-2, 8-2, 9-1, 10-1, 11-1, 12-1, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66436**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით გაზეთთა კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07267